საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 23 0001366220

13/10/2023

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 36-ე მუხლის, 39-ე მუხლის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ოდენობით, 2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2023 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება 2178 (ორი ათას ას სამოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით.

4. ცენტრის იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე.
7. ცენტრის იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სამართლის სფეროში;
ბ) პროფესიით მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება. უპირატესობა ენიჭება საჯარო სექტორში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილების მქონე კანდიდატს;
გ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - B2 დონეზე; ქართული ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C2 დონეზე;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) კარგად ცოდნა, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეთი.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
დ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
ე) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
ვ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
ზ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
თ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
ი) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
კ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
ლ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ”;
მ) „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილება;
ნ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ო) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
პ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ჟ) „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანება;
რ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

9. ცენტრის იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
ა) ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე სხვა უწყებების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტის პროექტების შესაბამისობის შემოწმება ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და შესაბამისი მოსაზრებების შემუშავება;
გ) ცენტრის შინაგანაწესისა და ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
დ) იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა შინაარსის სამართლებრივი დოკუმენტაციის პროექტების მომზადება რომელიც არ შედის სხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებში;
ე) სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ატიპიური და რთული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ვიზირება;
ვ) საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის სამართლებრივი მხარდაჭერა კონკურსის ჩატარების სხვადასხვა ეტაპზე, სამუშაოზე აყვანისა და სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანებების ვიზირება;
ზ) ატიპიური და რთული ხელშეკრულებების მომზადება და ვიზირება;
თ) ცენტრის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სამართლებრივი კონსულტირება და მხარდაჭერა;
ი) კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების განხილვა ცენტრის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და მათზე პასუხის მომზადება;
კ) სამსახურის/სამმართველოს უფროსის დავალებით პრობლემური და/ან მნიშვნელოვანი და/ან არასტანდარტული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობა და/ან სამსახურის უფროსისათვის პრობლემის გადაჭრის სამართლებრივი გზის მოძიება;
ლ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
ბ) ორგანიზებულობა;
გ) წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;
დ) დეტალებზე კონცენტრირების უნარი;
ე) გუნდური მუშაობის უნარი;
ვ) დროის მართვისა და განაწილების უნარი;
ზ) ანალიტიკური აზროვნების უნარი.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);

დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობა, მისი პიროვნული თვისებები, სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებული პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მას მუშაობაში.

12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს წერითი დავალებისა და გასაუბრების საფუძველზე:

ა) წერითი დავალება - წერითი დავალების ეტაპზე კანდიდატი შეფასდეს მიცემული დავალების ფარგლებში მომზადებული დოკუმენტის პროექტის შინაარსობრივი, სტრუქტურული და გრამატიკული გამართულობის კრიტერიუმებით (დანართი №1);

ბ) გასაუბრება - გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი შეფასდეს საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, ანალიტიკური აზროვნების უნარის, მოტივაციისა და ინგლისური ენის კომპეტენციის გათვალისწინებით (დანართი №2).

14. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, წერითი დავალების ქულისა და გასაუბრების ქულის გათვალისწინებით (თითოეული მათგანის ხვედრითი წილი - 50%), განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

15. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მერაბ ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.

16. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

17. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

18. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კახაბერ ერაძე